



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

28 მაისი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №150

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებულ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისთვის“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ და „პ.გ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19⁵ (პრიმა) მუხლის და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს II-ე თავის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებულ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-ს გადაეცეს, რეგიონალური განყოფილების განთავსებისა და ფუნქციონირებისათვის, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტით, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, ქ. ოზურგეთის მ. კოსტავას ქ. №1 მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე 1 (ერთი) ოთახი ფართით 9.60 კვმ. (საკადასტრო კოდი: 26.26.42.003.01/502, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი 882013214032, მომზადების თარიღი 14/05/2013წ.)

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

აღუგო მამეშვილი